45 წუთი ჩემპიონის სტილში

ლენინგრადი. ს.მ. კიროვის სახელობის სტადიონი. 14 სექტემბერი.

“ზენიტი” (ლენინგრადი) - “დინამო” (თბილისი) 2:2 (2:0).

ლენინგრადი: ვოსტროილოვი, ნეპომელუევი, სოვეიკო, ბელიკოვი, დანილოვი, დერგაჩოვი, ზავიდონოვი, სადირინი, ვასილიევი, ბურჩალკინი, სოლოვიოვი.

თბილისი: ურუშაძე, რეხვიაშვილი (ხუციშვილი), ხურცილავა, ჭელიძე, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, იამანიძე, ილიადი, მეტრეველი, ბარქაია, დათუნაშვილი.

მსაჯი ვ. ხოდინი (მინსკი).

მატჩის დასაწყისი “დინამოსათვის” დრამატული გამოდგა. მე-7 წუთზე სადემონსტრაციო ტაბლოზე გამოიკვეთა ციფრები 2 და 0. ჩემპიონის ასეთ წარუმატებელ სტარტს ლენინგრადელი გულშემატკივრები არ ელოდნენ. რა მოხდა მატჩის ამ სპრინტერულ მონაკვეთზე?

მეორე წუთზე სოლოვიოვმა ოსტატურად აუარა გვერდი “დინამოს” სამ მცველს და ბურთი ზავიდონოვს გადასცა, რომელმაც ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში. ურუშაძეს ამ გოლში ბრალს ვერ დასდებ - იგი მთლიანად თბილისელ მცველთა დაბნეულობის შედეგი იყო. ოთხიოდე წუთის შემდეგ “დინამოს” დაცვამ მორიგი შეცდომა დაუშვა და ბურთი კვლავ ბადეში გაეხვია. კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი ბურჩალკინმა ფეხებს შორის რომ გაატარა, გასაგებია: მას პარტნიორი უკეთეს პოზიციაში ეგულებოდა, მაგრამ ლენინგრადელის ამ არც თუ ისე ამოუცნობ ილეთს თბილისელთა დაცვა დანაშაულებრივი გულგრილობით შეხვდა. ბურთი “უშრომლად” მიიღო ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფმა ზავიდონოვმა და ანგარიში გაზარდა.

ამ გოლმა დინამოელთა რიგებში სრული არედ-დარევა შეიტანა. თავდამსხმელებმა ნაადრევად დაყარეს ფარ-ხმალი, დაცვა კი უსისტემოდ იგერიებდა “ზენიტის” გამუდმებულ შეტევებს. სწორედ ამ დროს ჰქონდათ მასპინძლებს გოლის გატანის კიდევ რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ სოლოვიოვის, ბურჩალკინისა და კვლავ სოლოვიოვის დარტყმები არაზუსტი აღმოჩნდა. “დინამოსათვის” ამ მძიმე წუთებში მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნა ურუშეძემ. საერთოდ თბილისელთა მეკარის თავგანწირვა ამ მატჩში სამაგალითო იყო.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა ტაქტიკური ნახაზი შეცვალეს. ერთ-ერთი მცველის, სახელდობრ, რეხვიაშვილის ნაცვლად მოედანზე მეხუთე თავდამსხმელი - ხუციშვილი გამოვიდა. სტუმრები განლაგდნენ ძველი და ნაცადი სისტემის (“დუბლვეს”) მიხედვით. მწვრთნელის გადაწყვეტილება, რომელსაც სწორად აუღეს ალღო ფეხბურთელებმა, ცხადი იყო: შეტევა, გამუდმებული შეტევა. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა წარმატებაზე ფიქრი.

და აი, ჩემპიონი ათამაშდა. თბილისელთა თავდასხმის ხუთეული, რომელსაც აქტიურად უჭერდა მხარს ნახევარდაცვა, სულ უფრო ხშირად ჩნდებოდა მეტოქის საჯარიმო მოედანზე. ლენინგრადელები ყრუ დაცვაზე გადავიდნენ, რამდენიმე სახიფათო გარღვევა კუთხურზე მოიგერიეს. 53-ე წუთზე მეტრეველმა მორიგი

კუთხური ჩამოაწოდა. ბურთს ხუციშვილი დაეუფლა და უძლიერესი დარტყმით ლენინგრადელთა კარში გაგზავნა - 1:2.

დინამოელთა შეტევები არ წყდებოდა. ჩემპიონი დაჟინებით მიიკვლევდა გზას მასპინძლების საჯარიმო მოედნისაკენ. 71-ე წუთზე სტუმრებმა მარცხენა ფრთაზე ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს და ბურთი ცენტრში გადააწოდეს. ბარქაიამ დროზე შენიშნა იამანიძე, რომელიც დიდი სისწრაფით მოემართებოდა ლენინგრადელთა კარისაკენ. თბილისელთა ფორვარდმა ბურთი ნახევარმცველს დაუტოვა და მანაც უძლიერესი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში - 2:2.

დარჩენილ დროში ორივე გუნდს ჰქონდა ანგარიშის გაზრდის საშუალება, მაგრამ ვერც ზავიდონოვმა, ვერც მეტრეველმა და ვერც ბარქაიამ ვერ გამოიყენეს ეს შესაძლებლობანი. მატჩი დამთავრდა ფრედ - 2:2. თბილისის "დინამომ" მეორე ტაიმში ჩემპიონის საკადრისი თამაში გვიჩვენა.

ა. ვასილიევი.

"ლელო", 15 სექტემბერი, 1965 წ.